საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/5756
30/09/2022

5756-21-2-202209300934

შპს „ბობოყვათს“
მის: ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბობოყვათი
ელ.ფოსტა: k.alania@silkroad.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №4330 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ქობულეთში, მემედ აბაშიძის ქუჩაზე, 10 ჰექტარზე მეტი განაშენიანების ფართობის მქონე ურბანული განვითარების პროექტს.

,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-20 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება სავალდებულოა იმ სტრატეგიული დოკუმენტისთვის, რომელიც წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციული ორგანოს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს, რომლითაც დგინდება სამომავლო განვითარების ჩარჩო კოდექსით განსაზღვრულ სექტორებში (მათ შორის ტურიზმი, დაგეგმარება და სივრცითი მოწყობა) და კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებული საქმიანობების სახეობებისთვის განისაზღვრება მახასიათებლები ან/და მოცულობები.

თუ აღნიშნული პროექტის განხორციელებისთვის საჭიროა ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით” გათვალისწინებული სტრატეგიული დოკუმენტის მომზადება (მათ შორის, განაშენიანების დეტალური გეგმა), საჭირო იქნება სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცედურის გავლა.

რაც შეეხება წარმოდგენილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების სკრინინგის განცხადებას, გაცნობებთ, რომ მოცემული არ არის და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებას თან უნდა ერთოდეს შესაბამისი მუნიციპალიტეტის წერილი დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის ფუნქციური ზონისა/ქვეზონისა და ამ საქმიანობის აღნიშნულ ზონასთან/ქვეზონასთან თავსებადობის შესახებ, ამ მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული გენერალური გეგმის არსებობის შემთხვევაში;
- წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორია მოიცავს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ორ და ფიზიკური პირის საკუთრებაში

არსებულ ერთ ნაკვეთს, შესაბამისად, წარმოდგენილი უნდა იქნეს მიწის ნაკვეთების მესაკუთრეებთან შეთანხმების შესახებ ინფორმაცია;

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს მოსაწყობი ინფრასტრუქტურისა და შენობა-ნაგებობების შესახებ ინფორმაცია (გენ-გეგმაზე დატანით);
- სკრინინგის განცხადებაში არ არის ინფორმაცია დაგეგმილი სამუშაოების შესახებ (მაგ: ტერიტორიის 27%-ზე რა სახის, რაოდენობისა და პარამეტრების მქონე ინფრასტრუქტურული ნაგებობების მოწყობაა დაგეგმილი; ნავმისადგომის პარამეტრები და ფართობის აღწერა). შესაბამისად, დოკუმენტი უნდა მოიცავდეს პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულ სამშენებლო სამუშაოებს და სამუშაოებიდან გამომდინარე ზემოქმედების აღწერას გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე, შესაბამის შემარბილებელ ღონისძიებებთან ერთად;
- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს სამშენებლო მასალების, მათი ტრანსპორტირების და დროებითი განთავსების შესახებ ინფორმაცია, ასევე, მშენებლობის პროცესში გამოსაყენებელი ტექნიკის ჩამონათვალი (ტიპებისა და რაოდენობების მითითებით);
- დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე მოსაწყობი დროებითი ინფრასტრუქტურის შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადებაში განხილული უნდა იყოს სამშენებლო სამუშაოების პროცესში წყლის გამოყენების, ასევე, ჩამდინარე და სანიაღვრე წყლების წარმოქმნისა და შემდგომი მართვის საკითხები;
- მოცემული უნდა იყოს სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობა და მშენებლობის პროცესში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაცია, კერძოდ, განცხადების სხვადასხვა გვერდებზე აღნიშნულია, რომ შენარჩუნდება ტერიტორიაზე არსებული ხე-მცენარეულობა, თუმცა, თავში 4.7.2 მითითებულია, რომ „40 სმ დიამეტრის ხეების მოჭრის შემთხვევაში, ყოველი მოჭრილი ხის სანაცვლოდ ნერგების დარგვასთან ერთად გამოიკიდოს სამ-სამი ბათბოქსი-ღამურებისთვის სპეციალური თავშესაფარი“. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილია თუ არა ხე-მცენარეების ჭრა, ხოლო ასეთის არსებობის შემთხვევაში, დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს ჭრას დაქვემდებარებული მცენარეების ჩამონათვალი, სახეობებისა და რაოდენობების მიხედვით;
- სკრინინგის განცხადებაში საჭიროა ყურადღება გამახვილდეს საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ ფრინველთა სამიგრაციო ზოლზე (განსაკუთრებით მრავალსართულიანი/მაღლივი შენობების მშენებლობის შემთხვევაში), ასევე ნავმისადგომის მოწყობით გამოწვეულ შესაძლო ზემოქმედებაზე, საჭიროების შემთხვევაში, ამ ზემოქმედების თავიდან აცილებაზე;
- სურათებზე 2.2.1; 2.2.2; 2.2.5; 2.2.8; 2.2.11 და 2.2.12 აღნიშვნები და სქემის ლეგენდა წარმოდგენილი უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე;
- სკრინინგის ანგარიშის თავში 3.9 მითითებულია, რომ „საპროექტო ეგხ-სთან შედარებით ახლოს მდებარეობს ,,მტირალას“ დამტკიცებული GE0000016 საიტი - დაშორების მანძილი 8,4 კმ და მეტია”, თუმცა პროექტის ფარგლებში არ არის გათვალისწინებული ეგხ-ის გაყვანა. შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემულია ზოგადი ინფორმაცია ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ და არ მოიცავს შესაბამის გაანგარიშებებს. დოკუმენტი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას დაგეგმილი სამუშაოების განხორციელებით ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე

ზემოქმედებისა და ხმაურის დონეების გაანგარიშებისა და უახლოეს საცხოვრებელ სახლთან (5 მ) მიღებული ხმაურის კოეფიციენტისა და „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს №398 დადგენილებასთან თავსებადობის შესახებ;

- წარმოდგენილი დოკუმენტაცია ზოგადი ხასიათისაა და შესაბამისი კვლევის, შეფასების და წყაროს მითითების გარეშეა გამოტანილი დასკვნები, რომ გარემოს ამა თუ იმ კომპონენტზე ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი, რაც საჭიროებს დასაბუთებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული შესაბამისი სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო